N 7015-01 31/12/2020

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N12

ქ. ქობულეთი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, ქობულეთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში – „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მერის მირიან ქათამაძის სახით და მეორე მხრივ, შპს ,,ბათუმის სამედიცინო ცენტრი“ (შემდგომში – „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ეკა ზოიძის სახით, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2020 წლის 29 დეკემბრის N5608 განკარგულების (**SMP200005698**) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2020 წლის 30 დეკემბრის N129 განკარგულების თანახმად, გამარტივებული შესყიდვის წესით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას და შევთანხმდით შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ქვეპროგრამის ,,თემზე დაფუძნებული ერთი მობილური გუნდის მომსახურება ქობულეთის მუნიციპალიტეტში, თვეში არანაკლებ 50 მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირზე“ (CPV კოდი 85100000).

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება 2021 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.2. მომსახურების გაწევა ხორციელდება „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის“ მიზნობრივი ქვეპროგრამით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

4. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი.

4.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 85 200 (ოთხმოცდახუთი ათას ორასი) ლარს.

4.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს/მოსაკრებელს/სახდელს, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. დეკემბრის თვის ანგარიშსწორება წარმოებს არაუგვიანეს 2021 წლის 31 დეკემბრისა.

4.5 მიმწოდებლის მოთხოვნა ანაზღაურების შესახებ შემსყიდველისადმი შესრულებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით, მომსახურების შესრულების შესახებ შესაბამისი დოკუმენტების თანდართვით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების მიღება-ჩაბარება წარმოებს მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ,

„მიმწოდებელი“ ვალდებულია წარუდგინოს „შემსყიდველს“ გაწეული მომსახურების ანგარიში, ანაზღაურების მოთხოვნის უწყისი თანახმად N1 დანართისა.
5.3. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს „მიმწოდებელი“ და „შემსყიდველის“ უფლებამოსილი პირი.

6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე უფლებამოსილ და პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი, შვებულებაში ყოფნის დროს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და ნებისმიერ დროს ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით მიანიჭოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის სხვა თანამშრომელს (თანამშრომლებს) ან/და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ნებისმიერ სხვა პირს (პირება). შემსყიდველის ასეთი გადაწყვეტილება არ საჭიროებს არც წინასწარ და არც შემდგომ თანხმობას და იგი ძალაში შედის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით ან შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილი წესით.
6.2 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება
6.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების ნაწილს წუნდების მიზეზების მითითებით;
6.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
7.1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით, წინააღმდეგ შემთხვევაში, სრული პასუხისმგებლობა ეკისრება „მიმწოდებელს“;
7.1.2. დაიცვას „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული „თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომახურურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის“ ქვეპროგრამა და წინამდებარე ხელშეკრულების პირობები, აგრეთვე „შემსყიდველის“ მიერ დადგენილი (მიღებული) მოთხოვნები (ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში);
7.1.3. ოპერატიულად მიაწოდოს „შემსყიდველს“ ინფორმაცია, რაც უკავშირდება „მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის გაწევის შეფერხებას და/ან შეწყვეტას;
7.1.4. „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად, მიაწოდოს მას ნებისმიერი ინფორმაცია თუ დოკუმენტი, რომელიც უკავშირდება „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის“ მიზნობრივი ქვეპროგრამის შესრულებას;
7.1.5გამოიყენოს საქართველოში რეგისტრირებული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული და ნეიროლეფსიური მედიკამენტები (დანართი #2)
7.1.6. კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს მობილური გუნდის მომსახურებით (ფსიქიატრიული მომსახურებით) განსაზღვრული ნოზოლოგიები ICD მე-10 გადასინჯვით, დანართი #3-ს შესაბამისად.

7.2. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

7.2.1. მიიღოს „შემსყიდველისაგან“ „პროგრამის“ მიხედვით შესრულებული მომსახურების საფასური;
7.2.2. მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულება.
7.2.3. მოთხოვოს ,,შემსყიდველს” გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე;
7.2.4. უარი განაცხადოს იმ სამუშაოს, დავალების ან მითითების შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.
7.3. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.3.1. პროგრამის და ამ ხელშეკრულების ფარგლებში, აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ გაწეული ექიმამდელი სამედიცინო მომსახურების საფასური;
7.3.2. მიაწოდოს დროულად ინფორმაცია მიმწოდებელს, სამართელბრივ აქტებში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მის საქმიანობასთან;
7.3.3. დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.
7.4. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:
7.4.1. მოთხოვოს „მიმწოდებელს“ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
7.4.2. მოთხოვოს „მიმწოდებელს“ დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები, რაც უკავშირდება „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ მომსახურებას;
7.4.3. ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის ინსპექტირება და ინსპექტირების შედეგები ასახოს ინსპექტირების აქტში;
7.4.4. საჭიროების შემთხვევაში, „პროგრამით“ გათვალისწინებული ურთიერთობების დარეგულირების მიზნით, მიიღოს (გამოსცეს) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის შესრულებაც სავალდებულოა „მიმწოდებლისათვის“ იმ მოცულობით, რაც უკავშირდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას. ამ პუნქტით გათვალისწინებული აქტის მიღება წარმოადგენს „შემსყიდველის“ უფლებას და არა ვალდებულებას;

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ფორს-მაჟორული სიტუაციების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა და/ან დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო და სხვა სანქციები.
8.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ყოველ ასეთ შემთხვევაზე ჯარიმის გადახდა 250 ლარის ოდენობით.
8.3 ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებზე უარის თქმის და ხელშეკრულების დროზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით.
8.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

9. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

9.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
9.1.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით;
9.1.2. მხარეთა შეთანხმებით;
9.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და/ან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.2. მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ინიციატორი მხარე მეორე მხარეს უგზავნის წერილობით შეტყობინებას.
9.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, შეთანხმების მიღწევამდე.

9.4. „შემსყიდველს“ ცალმხრივად შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:
9.4.1. თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო „მიმწოდებელი“ ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
9.4.2. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.5. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.
10.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.4. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს, დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლების არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოების ზეგავლენისაგან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრამდე.

14. სხვა პირობები

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით/შტამპით, რაც წარმოდგენს ხელშეკრულების ორიგინალს და ინახება მხარეებთან.

14.2. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ადასტურებს, რომ მხარეები ზედმიწევნით გაეცნენ ხელშეკრულების ყველა პირობას და სრულად ეთანხმებიან მათ.

15 . მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

ქობულეთის მუნიციპალიტეტი

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი N141

საიდენტიფიკაციო კოდი 247001890

მერი

მირიან ქათამაძე

მირიან ქათამაძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

Kobuleti municipality

Подписано цифровой подписью: Kobuleti municipality
Дата: 2020.12.31 13:29:15 +04'00'

„მიმწოდებელი“

შპს ,,ბათუმის სამედიცინო ცენტრი“
მისამართი: ქ. ბათუმი, კახაბრის ქ.#36
ბანკის დასახელება: ს.ს. ,,ბანკი ქართუ”
ბანკის კოდი CRTUGE22
ანგ. № GE97CR0150009439283602
ს/კ 248384234

დირექტორი
ეკა ზოიძე

Eka Zoidze

Digitally signed by Eka Zoidze
Date: 2020.12.31 13:39:35 +04'00'

N12 ხელშეკრულების დანართი N1

ანაზღაურების მოთხოვნის უწყისი № (თავფურცელი)	
ანგარიშგების პერიოდი:	----- ---------- 2021 წ.
დაწესებულების დასახელება:	

ხელშეკრულების №

№		ნოზოლოგიის კოდი (ICD 10)	ავადმყოფთა რაოდენობა	შემთხვევათა რაოდენობა	ჩატარებული ვიზიტის, მანიპულაციის, სეანსის რაოდენობა	წარმოდგენილი სამუშაოს ღირებულება
1		2	3	4	5	6
2						
3						
ჯამი:						

ანაზღაურების მოთხოვნის უწყისი №	
ანგარიშგების პერიოდი:	------ ---------- 2021 წ.
დაწესებულების დასახელება:	

ხელშეკრულების №

№	პაციენტის სახელი	პაციენტის გვარი	პირადი ნომერი	დაბადების	ნოზოლოგიი	ვიზიტის /სეანსები	სამედიცინო პერსონალის	მედიკამენტები	არაპირდაპირი	მოსალოდნელი	სულ ფაქტიური ხარჯი

				თარიღი			ს კოდი (ICD 10)	ს რაოდენობა	ხელფასი		ხარჯი	მოგება (სარგებელი) ან ზარალი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
1													
2													

N12 ხელშეკრულების დანართი #2

- კოდები

მე-10 გადასინჯვა

მობილური გუნდების მომსახურებით (ფსიქიატრიული მომსახურებით) განსაზღვრული ნოზოლოგიები ICD მე-10 გადასინჯვით:

(მოზარდები)

NN	კოდი (ICD-10)	ნოზოლოგია
1	**F00**_დან **F09**-ის ჩათვლით	ორგანული ბუნების აშლილობანი, სიმპტომატურ აშლილობათა ჩათვლით
2	**F20**-დან **F29**-ის ჩათვლით	შიზოფრენია, შიზოტიპური აშლილობანი
3	**F30**-დან **F39**-ის ჩათვლით	აფექტური აშლილობანი
4	**F43**	რეაქცია შწვავე სტრესზე და ადაპტაციის დარღვევები
5	**F70**-დან **F79**-ის ჩათვლით	გონებრივი ჩამორჩენა
6	**F80**-დან **F89**-ის ჩათვლით	ფსიქიკური განვითარების დარღვევები
7	**F90**-დან **F98**-ის ჩათვლით	ბავშვთა და მოზარდთა ასაკში დაწყებული ქცევითი და ემოციური აშლილობანი

მმობილური გუნდების მომსახურებით (ფსიქიატრიული მომსახურებით) განსაზღვრული ნოზოლოგიები ICD მე-10 გადასინჯვით:

(ბავშვები)

NN	კოდი (ICD-10)	ნოზოლოგია
1	**F06**	ტვინის დაზიანებითა და დისფუნქციით, აგრეთვე სხვა ფიზიკური დაავადებით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობანი
2	**F40**-დან **F48**-ის ჩათვლით	ნევროზული, სტრესთან დაკავშირებული და სომატოფორმული აშლილობანი
3	**F50**-დან **F59**-ის ჩათვლით	ფიზიოლიგიური და ფიზიკური დარღვევებით გამოწვეული ქცევის პათოლოგია
4	**F80**-დან **F89**-ის ჩათვლით	ფსიქიკური განვითარების დარღვევები

5	**F90**-დან **F98**-ის ჩათვლით	ბავშვთა და მოზარდთა ასაკში დაწყებული ქცევითი და ემოციური აშლილობანი.

N12 ხელშეკრულების დანართი N3

საქართველოში რეგისტრირებული ,სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული და ნეიროლეფსიურ საშუალებები რომელსაც გამოიყენებს მობილური გუნდი ფსიქიატრი დანიშნულებისათვის კლინიკური პრაქტიკის ეროვნული

რეკომენდაციების (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შესაბამისად:

1. ციკლოდოლი 2 მგ
2. ჰალოპერიდოლი 10 მგ
3. რისპერიდონი 2 მგ
4. კლოზაპინი 100 მგ
5. ამიტრიპტილინი 25 მგ
6. კარბამაზეპინი 400 მგ
7. ტრიფლუპენაზინი 5 მგ
8. ოლანზაპინი 10 მგ
9. ფლუფენაზინი-დეკანოატი 25 მგ/მლ
10. ჰალოპერიდოლ-დეკანოატი 50 მგ/მლ
11. ქლორპრომაზინი 100 მგ
12. დიაზეპამი 10 მგ
13. ვალპრილ ქრონო 500 მგ
14. ფენობარბიტალი 100 მგ
15. ზუკლოპენტიქსოლი დეკა. 200 მგ/მლ
16. რეცეპტი ფორმაN2

„შემსყიდველი“
ქობულეთის მუნიციპალიტეტი
მერი-მირიან ქათამაძე

„მიმწოდებელი“
შპს ,,ბათუმის სამედიცინო ცენტრი“
დირექტორი-ეკა ზოიძე

Eka Zoidze
Digitally signed by Eka Zoidze
Date: 2020.12.31 13:40:15 +04'00'

მირიან ქათამაძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა